



ხელოვნების არსის გადააზრებისათვის ფრანკფურტის სკოლის
ესთეტიური თეორიის წიაღში

(ვ. ბენიამინი, მ. ჰორკჰაიმერი, თ.ვ. ადორნო)

სალომე წულუკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს, ბ-ნ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტის

სალომე წულუკიძის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე წულუკიძე

21.06.2016

აბსტრაქტი

ნაშრომის ძირითად საკვლევ თემას წარმოადგენს ხელოვნების არსის გადააზრების საკითხი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ხელოვნების არსის შესახებ წარმოდგენილი შეხედულებები, კონკრეტულად კი ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების მ. ჰორკჰაიმერისა და თ. ადორნოს „განმანათლებლობის დიალექტიკა ფილოსოფიური ფრაგმენტები“ და ვ. ბენიამინის ტექსტის „ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ მიხედვით. მოვახდენ ამ ტექსტების ინტერპრეტაციას, მათ გაგებას და შესაბამის ისტორიულ კონტექსტში გააზრებას. თუ როგორ განიხილავდნენ და ესმოდათ ხელოვნების არსის დანიშნულება და თავად ხელოვნება. კვლევის სფეროდან გამომდინარე ნაშრომში გამოყენებულ იქნება ჰერმენევტიკული მეთოდოლოგია. ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს ბენიამინისა და ადორნო-ჰორკჰაიმერს შორის ტექნოლოგიურად კვლავწარმოებულ ხელოვნებასთან მიმართების განხილვა, ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომების საფუძველზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტექნიკური რეპროდუცირებადობა, ხელოვნების კრიზისი, კულტურის ინდუსტრია.

Abstract

The purpose of the research article is to re-think the essence of art; more precisely through the discussion of the views of representatives of the Frankfurt School, M. Horkheimer and T. W. Adorno “Dialectic of Enlightenment. Philosophical Fragments” and W. Benjamin “The Work of Art in the Age of Mechanical Reproduction”. Through the interpretation of these works, I will demonstrate their understanding within their relevant historical context; the way they analyzed and understood the objective of the essence of art and of art itself. Hermeneutical methodology will be used due to the specificity of the research topic. The main objective of the research is to show the relationship between Benjamin and Adorno-Horkheimer in relation to technologically reproduced art according to the above theoretical works.

Key Words: Technological Reproducibility, Crisis of Art, Culture Industry.